



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი
ბრძანება № 05

თბილისი

„17“ 07 2018

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს
რეორგანიზაციის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (05.07.2018;N3024-რს) მე-2 მუხლის პირველი, მე-13 და მე-14 პუნქტების, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლის, „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N199 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, განხორციელდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს რეორგანიზაცია 2018 წლის 12 ივლისიდან, რომელსაც შესაძლოა მოყვეს შტატების და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების შემცირება.
2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2018 წლის 05 ივლისის საქართველოს კანონის (N3024-რს) ამოქმედებამდე არსებულ შესაბამის სამინისტროებში დასაქმებული პროფესიული საჯარო მოხელეები და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები 2018 წლის 12 ივლისიდან ჩაითვალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში დასაქმებულ პირებად, შეუნარჩუნდეთ თანამდებობრივი სარგოები და გააგრძელონ სამსახურებრივი უფლებამოსილებების განხორციელება რეორგანიზაციის პროცესის დასრულებამდე დანართი N1 და დანართი N2 შესაბამისად.



საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო
თელ.: 2 98 74 30



070138426228618



3. დაევალოს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოსა და ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს წინამდებარე ბრძანების გაცნობა სამინისტროში დასაქმებული თითოეული მოსამსახურისათვის და სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროსათვის.
4. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტსა და მინისტრის აპარატის მედია-კომუნიკაციის სამმართველოს წინამდებარე ბრძანების განთავსება სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).



მიხეილ ბატიაშვილი